



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 211

2013 წლის 31 დეკემბერი

ქალაქი ხაშური



შ.პ.ს., „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-ს ხაზოვანი ნაგებობის (33007,1 გრძივი მეტრი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის) ფუნქციონირებისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი ტერიტორიით სარგებლობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

შ.პ.ს., „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი ფოპტნეტმა“ 1998-1999 წლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაიყვანა ხაზოვანი ნაგებობა (33007,1 გრძივი მეტრი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი) და ითხოვს მის ლეგალიზებას (ექსპლუატაციაში) მიღებას.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის N660 ბრძანებულების „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შ.პ.ს., „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტს“ 1998-1999 წლებში მშენებლობადასრულებული ხაზოვანი ნაგებობის (33007,1 გრძივი მეტრი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი ტერიტორიით სარგებლობაზე;
2. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. განკარგულება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ.ხაშური მ. კოსტავას ქ.N15).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე